№ 155
ოთხშაბათი, 19 ივლისი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 155
ოთხშაბათი, 19 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგეი, არკადი და ლუკა ბახტაძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

**ილია ლუკას ძის ბახტაძის**

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ, დაბა ხონში. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ. (3—მ.—2)

---

ხუთშაბათს, 20 ივლისს, მეორმოცე დღეს გარდაცვალებისას სტატსკი სოვეტნიკის ექიმის

**მიხეილ იესეს ძის სულხანიშვილისა**

გარდახდილი იქმნება კუკიის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოს ეკკლესიაში წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც ქვრივი განსვენებულისა და შვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. (1—196—1)

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი**, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12½—1½ საათ. საღოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კროვატი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კროვატი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი**, 12½—1½ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. ჰ. ქარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.

---

**სენაკის სამაზრო**

## გამგეობა

იწვევს მსურველთ სენაკის მაზრის სასოფლო გამგეობებში **საქმის მწარმოებლის თანამდებობებზედ დასანიშნავად.** საქმის მწარმოებელს საზოგადოებისაგან ჯამაგირად ეძლევა 300-დგან 400 მანეთამდე.

მსურველი ახალ სენაკში სამაზრო გამგეობაში უნდა გამოცხადდეს, ან მან თხოვნა უნდა გამოგზავნოს. თან თხოვნას მოწმობებიც უნდა ახლდეს ვინაობისა, კეთილ-საიმედოობისა და წინანდელ სამსახურის შესახებ. (5—ნ.—3)

---

## ქუთაისის ჰაჭყივცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჰურძლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია

ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში

1 ივნისიდგან გადატანილ იქმნა ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—ნ.—26)

---

## ახალი ამბავი

⁂ სოხუმიდგან გვწერენ: 13 ივლისს, საათის ხუთზედ, სოხუმში გარდაიცვალა ცნობილი პუბლიცისტი ილია ბახტაძე (ხონელი).

განსვენებული ყელის ჭლექით იყო ავად და ამ ზამთარს სოხუმში ჩამოვიდა საექიმოდ და ზღვის თბილი ვანების მისაღებად.

ამ ბოლოს დროს საკმაოდ კარგად ჰგრძნობდა თავსა და სოფელ ხონში დაბრუნებაც-კი განიზრახა, მაგრამ ერთხელ ვანის მიღების დროს გაცივდა და ლოგინად ჩავარდა. ამ დღეებში ისევ უკეთ ჰგრძნობდა თავს, ისევ ხონში დააპირა დაბრუნება, მაგრამ არ დასცალდა, 13 ივ-

---

# ფელეტონი

## გარდაბანისა და ბაჩიანის საერისთაონი და მათნი ნაშთნი

„Да! еслибы всѣ слезы, кровь
и потъ,
пролитые здѣсь...
Изъ нѣдръ земныхъ всѣ выступили вдругъ,
то былъ-бы вновь потопъ“.
Пушкинъ

(შემდეგი *)

წალკა

მაღლობ თრიალეთიდგან რომ ჩრდილოეთისკენ გადმოვიდეთ, უჩინრად დავაკებულ ფერდობებით. წალკაში დავეშვებით. წალკა უშველებელი მთა ვაკეა ჩრდილოეთით ვიწრო, სამხრეთით საკმაოდ ფართე. მომწყვდეულია: ჯამ-ჯამის, ლაკვნის და ერჯევნის მთებით ჩრდილოეთიდგან, ბენდერის მთით სამხრეთიდგან, ხოლო დანარჩენ მხრებით თრიალეთის ფერდობებით. წალკას ზედ შუაზეთ ჩამოუდის მდ. ქცია, გაწოლილი ზღაპრულ გველაშაპსავით. „ქციას ეტყვიან იმიტომ, რომ ხიდებს აქცევსო“,—ამბობს ვახუშტი. თვით სახელწოდება წალკა-კი უხსოვარ დროიდგან ქართველებს მიუციათ იმის გამო, რომ ქციას კალაპოტს აქ მეტად ვაკე ნაპირები აქვს და ადიდების დროს წაჰლეკს ხოლმე მთელ არე-მარეს. წალკა მეტად მდიდარის, შავის მიწის ნიადაგისაგან შესდგება. წყლები და წყაროები უხვადა აქვს მთებიდგან. საძოვარი მეტად ძვირფასია, მხოლოდ ხეებს წამლად ვერ ჰნახავ. სწვამენ წივას და ერჯევნის მთებიდგან მოტანილს შეშას.

ღმერთსა მადლი, რომ ბორჩალოსა და თრიალეთში ნანგრევების სახელწოდებანი, ისტორიული გადმოცემანიც-კი შენახულა სოფელ დიდგომარეთის, რეხის, მიჯა-ყალამშიის და ბოსლევ-ქვეშელ ქართველთა ხსოვნაში.

„თავს რეხავ, ბოლოს ეძანო!
შუაში ბეშკანაშენო!
თუ მტერმა ასე გვირია;
სახლი როდის ავაშენო;
გინდა სახლი ავაშენო,
შიგ როდის-ღა მოვისვენო“?!.

ასე ჰმღერის თრიალეთის მკვიდრი წალკის შესახებ, თუმცა ეძნის მაგიერ ნანგრევებზედ დასახლებული ბერძენი პარმასის იძახის, ბეშკანაშენის მაგიერ—ბაშკოვს და იცის, რომ წალკის მშვენიერ ვაკეზედ ოსმალთ, ათაბაგთ გამაჰმადიანებამ და სხვა მტრებმა აღარ ააშენებინა სახლი ქართველს. ერეკლე მეფემ ერთ მოჰირნახულე თუშს აძლია თურმე წალკის ნაოხრებიო, გარდმოცემით ამბობენ ესევე ქართველები, მაგრამ თუშმა მოახსენაო: „თუ ჩემთვის წყალობა გნებავს, მეფევ! წოწკოლაანთ საგვარეულოში ერთი ხმალია, ის გამომირთვი და მიბოძეო“,—ამის შემდეგ წალკა ისევ ნაოხრებად დარჩენილა და პასკევიჩის ქართველთა ნაოხრებზედ სომხები და ბერძნები გადმოუსახლებია. დღეს ზედ 32 ამათი სოფელია. ეს 1827 და 1830 წლებში მომხდარა. არზრუმის საფაშალიკოდგან გადმოსახლებულ უცხო-ქვეყნელთ ეკკლესიები შეუბღალველი არ დარჩენიათ, თავიანთებურ გადუკეთებიათ, ნანგრევები შენობებზედ მოუხმარებიათ და ისე გაუხდიათ აქაურობა, რომ ძველის კვალი და ნასახი აღარ დარჩენილა, ქართული სახელწოდებანი შეუბღალავთ და ზოგი ყიზილბაშურზედ გაულექსნიათ.

ქართველთ ნაოხრები კი ისე ცოცხლად ჰრგებიათ გადმოსახლებულებს, რომ ბევრ ეკკლესიაში სამღვთო წიგნები და მოწყობილობა მთლად დაჰხვედრიათ. წალკის სოფელ წინწყაროში ასეთი წიგნები ბერძნებს მთლად გაუბნევიათ, მხოლოდ ხელი ვერ შეუხიათ ქართულ სახარებისათვის. მართალია ტრაპეზზედ მის მაგივრად ბერძნული დაუსვენებიათ, მაგრამ ქართულიც შენახული აქვთ და ხალხს იგი დღესაც დიდ სიწმიდეთ მიაჩნია. ს. ედიქლისაში შვიდ სამწირველოიან ძველ ეკლესიაში სხვა წიგნთა და სამკაულთა გარდა შვიდი სახარებაც დაჰხვედრიათ ბერძნებს—ექვსი წარუტაცნიათ და ერთი ლაა დღეს მტკიცედ დაცული.

ვახუშტი ამბობს: „იქ, სადაც ქციის ერთვის ხევი ჰერან-თურანისა, ქციის კიდეზედვე არის ეკლესია გუმბათიანი წალკას, დიდი და კეთილშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა“. წალკას ბევრი კეთილშენი ძველი ეკკლესიაა შენახული, მაგრამ ამ საეპისკოპოსო ეკკლესიად-კი მე ედიქლისის ეკკლესიას არა ვთვლი. ჰერან-თურანის ხევის სახელ-წოდება წაბილწულია აქაურ ბერძენთ თათრულ ჰიყ-ჰიყში, მაგრამ ედიქლისის პირდაპირ ქციას შეერთვის ხევი, რომელსაც ეხლა ჯანის ხევს ეტყვიან, რადგან ზედ ს. ჯინიშია დაშენებული. ეს უნდა იყოს ხევი ჰერან-თურანისა. ამ ადგილებს „საბატეს“ ეტყვის ვახუშტი. დღეს ეს სახელწოდებაც დაკარგულია, მაგრამ მართლა რომ საბატეა ეს ადგილი: გაღმიდგან, თუ გამოღმიდგან უხვად ჩამოუდიან აქ ქციას წყაროები და ხევები—მთელი ვაკე წყლითაა დაჭერილი. შუაში ვაკეზედ მოთავსებულა სომხის სოფელი ყუჩი, რომელსაც ნაოხრებზედ გაუშლია ბრჭყალები. ნანგრევებიდგან ნახიდურზედ ქვითკირის მშვენიერი ხიდი გაუმართავთ. შუა სოფელში კოხტად ამაღლებულ სერზედ ეკკლესია ხელშეუხებელი დაჰხვედრიათ და სომხის ეკკლესიათ გადაუქცევიათ.

დიახ, გული გტკივა, როცა დასდიხარ და ათვალიერებ წალკას ისტორიულ საბუთებით ხელში. თითქო ბარბაროსნი, სკითნი და ხდოვანნი შემოჰსევიან და შეუმუსრავთ ეს მშვენიერი მხარეო. წარწერანი, ციხე-გალავანნი და ყოველივე ნაშთნი ულმობელად გაუნადგურებიათ. ყიზილბაშურად ლაქლაქებენ ჰვეყნისთვის და თავიანთვისაც უცნობლო საქმეებზედ ეს ტომით ბერძენნი, მაგრამ სრულიად გაათრებული ხალხი, რომელთ სახლებში წიგნი არ მოიპოვება, ქაღალდი და სხვა განათლების მაჩვენებელი რამ იარაღი.

წალკას თავს ქართველთ სოფელი რეხაა, ბოლოს ეძანი, სადაც ქციაზედ მეტად მოხერხებულ ადგილზედ ეძნის ხიდია უხსოვარ დროიდგან გაკეთებული. ძველი ქართული წარწერა ამ ხიდის სვეტზედ გადარჩენია ბერძნების ბარბაროსობას და გვისაბუთებს ამას *); ხიდი იქაა გაკეთე-

*) იხ. „ივერია“ № 154.

*) წარწერებს არ შევეხები ამ წერილში, რადგან პატივცემულ ე. თაყაიშვილს აქვს ესენი გადაწერილნი და მალეც გამოვა მისი შრომა; ხოლო თუ მას მოაკლდება რამ ამ მხარეებში, მე გამოვაქვეყნებ.

მღ. ნ. გულისაშვილი

ლისს უეცრივ გარდაიცვალა ძმების მკლავზედ, რომლებიც ამ ხანად აქ იყნენ ჩამოსულნი.

განსვენებულის ცხედარი, რომელიც ძვირფასი გვირგვინებით იყო შემკული, თოთხმეტს ივლისს, ნაშუადღევის შვიდს საათზედ ბინიდგან ხელით მოასვენა ნავთ-სადგურზედ სოხუმის მწუხარე ქართველობამ და აქ უთხრა უკანასკნელი „მშვიდობით“.

თხუთმეტს დილით განსვენებული სატფოსტო გემით ფოთს წაასვენეს და იქიდგან დაბა ხონს დასაკრძალავად.

სხვა გვირგვინებს შორის შევნიშნეთ: გიორგი ჩიქოვანისაგან, ნიკოლოზ ჩიქოვანისაგან, თვით განსვენებულის დებისა და ძმებისაგანა და სოხუმის ქართველებისაგან.

⁂ ტფილისის ადმინისტრაციას დაწვრილებით დაუთვალიერებია ყველა ის ადგილები, სადაც ივნისში სეტყვა მოვიდა და აღმოუჩენია, რომ სოფ. კონსტანტინოვკაში, დმანისში, იფნარაში და წინწყაროში მცხოვრებლებს დაუხმარებლად თავის რჩენა არ შეუძლიანთ.

⁂ როგორც ბათუმიდგან იტყობინებიან, ახალი ნავთის მილით გადატანილი ნავთი, პირველი 60,000 ფუთი სრულებით უვარგისი გამომდგარა. ეხლა ნავთი თან-და-თან იწმინდება და იმედია მოკლე ხანში სრულებით წმინდა ნავთი იწყებს დენასაო.

⁂ გზათა სამინისტრომ მოსთხოვა ყველა კერძო რკინის გზების მმართველებს, რომ, სადაც-კი შეიძლება, რკინის გზებზედ ადამიანის შრომის მაგიერ მექანიური მუშაობა იქმნას შემოღებული.

⁂ გზათა სამინისტროში ამ ჟამად არჩევენ იმ საგანს, თუ რამდენ წლამდე მიეცემათ ნება რკინის გზაზედ მოსამსახურეთა შვილებს უფასოდ იმგზავრონ რკინის გზით.

⁂ ფოსტისა და ტელეგრაფის უმთავრესს სამმართველოში დაუარსებიათ განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ტელეფონის შორს მანძილზედ გაყვანის პირობები უნდა შეიმუშავოს.

⁂ გუშინ, 18 ივლისს, მისის უდიდებულესობის ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე-44 რაზმი თუქურმიშში წავიდა.

⁂ ნატახტარის წყაროების გამოსაკვლევ-გასასინჯად შემდგარი საგანგებო საბჭოს კომისია ხვალ, ხუთშაბათს, მიდის მცხეთას და აქედგან ნატახტარში, რომ ადგილობრივ დაათვალიეროს ის წყაროები, რომლებიც განზრახულია ქალაქის მილით გამოიყვანონ.

⁂ კავკასიის მსროლელ ჯარის 1-ლი ბატალიონი საბანაკოდ დაბა სურამს წავიდა.

⁂ ამ დღეებში მოდიდებულმა მტკვარმა ვერის ბორანის ჯაჭვი ჩაწყვიტა და ბორანი რამდენისამე მგზავრითურთ მდინარემ წაიღო. მებორენე და მგზავრები უთუოდ მდინარის მსხვერპლი შეიქმნებოდნენ, რომ დროზედ მცურავები არ მიშველებოდნენ და ნავი ნაპირზედ არ გაეყვანათ. ამ ჟამად ბორანი გაუქმებულია, რის გამოც ვერის მცხოვრებნი რკინის გზის მუშები დიდად შეწუხებულნი არიან.

⁂ 16 ივლისს მომხდარმა ტფილისის ხელოსანთა კრებამ სარევიზიო კომისიის წევრებად ამოირჩია: იაკობ კარაში, სვიმონ ფანიევი, კარლოს გრეცინგერი, გიორგი მიკირტუმოვი და კარლოს რეგერი.

⁂ როგორც შევიტყეთ, „წითელის ჯვრის“ კავკასიის მთავარს სამმართველოს მიწერილობა გაუგზავნია მოწყალებისა დათა ნადეჟდას საზოგადოებისათვის, რომ ჩინეთში წასასვლელად მოწყალებისა დანი მზად იყვნენ, რომ პირველის მოთხოვნილებისამებრვე იქმნენ გაგზავნილნი.

⁂ როგორც ერევნიდგან გვატყობინებენ, ამ ბოლოს დროს იქით ძალიან დიდი სიცხეები დაუჭერია. ამის გამო ერევნის რკინის გზაზედ მრავალს მუშას მუშაობაზედ ხელი აუღია. თუ რომ ასე მეტს ხანს გასტანს, ადვილი მოსალოდნელია მუშაობა დიდად დაბრკოლდეს და გზა დროზედ არ იყოს მზადაო.

⁂ ორშაბათს, 17 ივლისს, ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა განსახილველად ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გამგეს მოხსენება იმის შესახებ, რომ სხვა და სხვა ხილეულობა ქალაქის საჯარო ვაჭრობის წარმომადგენელთა მეთვალ-ყურეობით ისყიდებოდეს, რადგანაც სოფლის მეხილეთაგან ქალაქში შემოტანილ ხილს შეგულებული ჩარჩები სულ რამდენსამე გროშად ყიდულობენ ხოლომე. ამიტომ სოფლის მეხილეებს უთხოვნიათ ქალაქის საჯარო ვაჭრობის დარბაზის გამგესათვის, რომ ხილი მათის წარმომადგენლების საშუალებით იქმნას ხოლმე გაყიდული. გამგეობამ, განიხილა რა ეს მოხსენება, დაადგინა: დღეიდგან საცდელად იარმუკაზედ გაჰყიდონ ხოლმე სოფლელების მიერ ჩამოტანილი ხილი საჯარო ვაჭრობის წარმომადგენელთა მეთვალ-ყურეობით, ისე კი, რომ ეს ვაჭრობა დილის 8 საათამდე თავდებოდეს ხოლმე.

⁂ გუშინ, 18 ივლისს, ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ კოვალიოვის განკარგულებით კრება ჰქონდათ ქალაქის პოლიციის ბოქაულებს, რომელთაც მოილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღებაა საჭირო, რომ ქალაქში საქონლის ჭირი არ იქმნეს შემოტანილი.

⁂ ვლადივოსტოკის აღმოსავლეთ ინსტიტუტში შემსვლელთ ამ 1900—1901 წელს უეგზამენოდ მიიღებენ. გიმნაზიელთა გარდა ინსტიტუტში შესვლა შეუძლიანთ რეალურს სასწავლებელსა და სასულიერო სემინარიებში სწავლა დამთავრებულთ. ინსტიტუტში შესვლის მსურველმა თავისის ხელით უნდა დასწეროს თხოვნა და ინსტიტუტის დირექტორს 15 აგვისტომდე ჰქონზავნოს. პირველს კურსზედ მხოლოდ 60 კაცს მიიღებენ. ინსტიტუტში შემსვლელს საშუალო ნიშანი სწავლისა $3^1/_2$ ნაკლები არ უნდა ჰქონდეს, ხოლო სადაც 12 ნიშნიანი სისტემაა შემოღებული, იქ 8,4-ზედ ნაკლები.

⁂ წყალში განსაცდელისაგან მხსნელ საიმპერატორო რუსეთის საზოგადოების ტფილისის განყოფილების ცნობით, ივნისის განმავლობაში დარჩობისაგან გადაურჩენიათ სულ რვა კაცი.

⁂ 17 ივლისს ქალაქის გამგეობამ განიხილა ქალაქის სასწორების მოიჯარადრეთა თხოვნა იმას შესახებ, რომ გადადებულ იქმნას საჭირო თანხა სასწორების ფარდულების შესაკეთებლად. რადგანაც წელს ქალაქს საჭირო ფული არა აქვს, გამგეობამ დაადგინა ამ საქმისათვის საჭირო ფული შეიტანოს ქალაქის მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

⁂ სოფ. ქალადიდი (სენაკის მაზრა). საზოგადოდ ქალადიდის ადგილი მდებარეობა და ჰავა ადამიანისათვის გვრიფერი მარგებელია. ქალადიდი ჭაობიანი ადგილია და ხშირად იცის აქ სხვა და სხვა გადამდებ სენის ფეხის მოკიდება. უფრო-კი ციებ-ცხელებაა გავრცელებული. ციებ-ცხელება კაცს თითქმის ზამთრის გასულამდე გაჰყვება ხოლმე. ამ ციებ-ცხელებას ახლა ზედ დაერთო კასერაც. კასერამ მრავალი ბავშვი გამოასალმა წუთის სოფელს. ხშირად ერთის ოჯახიდგან ორი და სამი მიცვალებული გაუსვენებიათ. ეს სენი თითქმის ორი თვეა, რაც მძვინვარებს და დიდს ზარალს აძლევს. ბატარებების გარდა, ეხლა დიდებსაც დაერია და ამათაც სიცოცხლეს უსპობს.

პირველ ივლისამდე წრევანდელს ჯეჯილს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ივლისის კოკა-პირულმა წვიმებმა, ყოველ-გვარი ჭირნახული აუვითლ-აალპა.

⁂ სოფ. ქვემო-თეკლათი (სენაკის მაზრა). ამ თვის 7-ს აქ ისეთი დიდი წვიმები იყო, რომ მეორედ მოსვლას მოაგონებდა კაცს: მთელს დღეს განუწყვეტლივად წვიმდა. მდინარე ციფი ძალზედ ადიდდა, კალაპოტიდგან გადავიდა და ნაპირების ახლო-მახლო მცხოვრებლებს მოუდგა. წყალი ისეთს ოჯახებში შევარდა, სადაც თავისს სიცოცხლეში არ უნახავთ. უღარიბეს ოჯახს 1—5 თუმნის ზარალი მაინც მისცა. ბევრს შინაური ფრინველები და პატარა ცხოვლები მოსტაცა. ზოსტენუდობა ისე გაავრცა, რომ ორ-სამს წელიწადზედ დასაუსად აღარ ივარგებს. რომლის ყანაშიაც შევარდა გაშმაგებული მდინარე, სიმინდება მთლად წაქცია და ზოგი მარიანად წაიღო. ერთი სიტყვით, როგორც აქაურები ამბობენ, ამ გვარს წყალ-დიდობას დიდი ხანია არ მოსწრებიან.

⁂ ორშაბათს, 17 ივლისს, ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა წარუდგინა ქალაქს გამგეობას მოიჯარადრის ხან-პირას განცხადება, რომლითაც ხან-პირა სთხოვს გამგეობას, მიეცეს მას ოლგას ქუჩაზედ საწვიმარ არხის გაკეთების დროს მეტას სამუშაოსათვის 750 მან. გამგეობამ, განიხილა რა მოიჯარადრის ხან-პირას თხოვნა და მიიღო-რა სახეში ქალაქის ტეხნიკოსის აგაჯანოვისა და ინჟენერის ჩიკალინის მიერ ამ საქმის შესახებ წარდგენილი ანგარიში, დაადგინა, მიეცეს მოიჯარადრე ხან-პირას მხოლოდ 300 მანეთი.

⁂ ივლისის ნახევრამდე ტფილისში ავად გამხდარა გადამდებ სენით სულ 3 კაცი: 1 ამათგანი ყელჭირვებითა და 2 მუცლის სახადით.

## პუშკინის სახელობაზედ განზრახულ ტფილისის ბეჭდვითი საქმის ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთა კრება

ორშაბათს, 17 ივლისს, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდათ ტფილისის ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ,

---

ბული, სადაც ქვია, გამოივლის-რა წალკის ვაკეს, ვარდება უშველებელ ხრამში. შესანიშნავია ეს უშველებელის სიღრმის ხრამი ისტორიულ ნაშთებით, აქედგან დაწყებული სამშვილდეს ქვევით მდებ ძველებურ სოფელ ნახიდურამდე, რომელსაც ეხლა თათრები დაჰპატრონებიან და არახლოდ იწოდება. ექნის ხიდთან ქცია აპობს ბენდერის და კვირიკის მეფების ხვლანჯებს და ისე ვარდება ამ ღრმა კალაპოტში. ამ ხიდზედ უნდა გაიაროს თრიალეთზედ წასულმა საქონლის ფარებმა, იმიტომ მეტ საჭირო ადგილას არის მოთავსებული. ბერძნები ხიდსაც პარმახსის ეძახიან, ექინის ნანგრევებზედ გაშენებულ თავიანთ უშველებელ საზოგადოებასაც—პარმახსის საზოგადოებას; ეძანი ქართველების ხსოვნა-ხჰარებაშია. ცძანთან ქცრას ერთთვის ბეშკანაშენის ხევი, ეხლა ბეშტაშნის ხევად წოდებული ბერძნების მიერ, რადგან ზედ უშველებელ ბეშკანაშენის ნანგრევებზედ ბერძნის სოფელი ბეშტაშენია დაშენებული.

„აღმოსავლეთით ბეშკანაშენისა არის ტბა ბარეთისა და მის გარშემო ლაკვნის მთამდე დაბნები მრავალი“, ამბობს ვახუშტი. ამ ტბას ეხლა ბერძნები ბაშკოვის ტბას ეძახიან, ბარუთი-კი ლამის ამოიშალოს ხსოვნიდგან. ეს ბარუთის ტბა დიდია და ღრმა. მცხოვრებთ მისთვის ზღაპრული თქმულებაც-კი მიუკოსებიათ. ამათის თქმით, ერთი კაცი ღამე ამ ტბის პირს დარჩენილა. თავისი ფაშატი ცხენი ნაპირზედ გაუშვია. თურმე შუაღამისას ტბიდგან გამოცურდება „ზღვის ცხენი“ და ამაკებს ფაშატს მთვარიან ღამეში მგზავრი ამას დაინახავს, გაუფრთხილდება თავისს ცხენს, რომლიც ისეთს კვიცს მოიგებს, რომ არ-კი დადიოდა, დაფრინავდაო, ამბობენ წალკა-თრიალელნი. გაუწყრება ღმერთი და ესევე მგზავრი ამავე ბარუთის პირას კიდევ მოინდომებს დასვენებას და ცხენის ბალახობას. ამ დროს ტბიდგან გამოვა იგივე ზღვის ცხენი. დაუხვიხვინებს და შეიტყუებს მგზავრის ბედაურს—მას აქეთ მთვარიან ღამეზედ ბარუთის ტბაში თურმე ბევრჯელ ჰხედავენ ხოლმე წალკა თრიალელნი ორ ზღვის ცხენსაო, ამბობს ეს გადმოცემა...

„ჰერან-თურანის ხევის ზემოთ წალკაზედ ქციას მოერთვის კოხტა-ცრიცვის ხევიო, აქ არის მონასტერი კეთილ-შენი წმიდა აბიბოს ნეკრესელის მიერ ქმნილიო“, ამბობს ვახუშტი. ამათ ზემოდ ასახელებს ვახუშტი ავლადის ხრამს, ცვრისის ხევს, საპანარის ხევს, ტუსსების წყალს და სხვა... ავიარე ასე—შემხვდა წყლები, მაგრამ რომელი სახელი რომელს ერქვა, ვერა გავიგე რა. აქ ნანგრევებზედ ჯერ ხუთი სოფელი თათარია და წყლებს თავიანთებურ ეძახიან „სარვან-ჩაი“ მერე სომხების სოფლები პისდევს და ამათაც ყველა თავისებურად მოუნათლავთ... ნანგრევი ეკკლესიებისა მრავალია. ტუსრების წყალი და საპანაურიკი ვნახე, რადგან ქართველი რეხელები ახლო ასახლიან და ასეც უწოდებენ ამ წყლებსა... იქვე რახას ქვემოდ ბერძნის უშველებელი სოფელია ნანგრევებზედ — ბერძნები „ამვარლოს“ ეძახიან, რეხლები ძველებურად თეზს ეტყვიან. შუა წალკაზედ უშველებელი სოფელია, რომელსაც პუნია-ყალა ჰქვიან ბერძნულად და შიგ მეყველეობის სასწავლებელია მოთავსებული. ქართველები ციხის სოფელს ეტყვიან, რადგან უშველებელი ციხე-გალავანია, რომლის გარეთ კიდევ უშველებელი წყლით სავსე თხრილი აქვს შემორტყმული. ეს ციხე-გალავანიც ულმობელ ბერძნის ხელით დაინგრეოდა აქამომდე, მაგრამ შიგ იგი მეყველეობის სასწავლებელია და ვეღარას გამხდარან. ამ სოფლის გასწვრივ იალალების დასაწყისში ძველი ეკკლესიაა, რომელსაც ბერძნები ნახირქლისას ეძახიან—სანახირო ეკკლესიაო, მაგრამ მწყემსობას, საქართველოდგან ამოსულთ, და თრიალეთის ქართველობას გადმოცემით არ ავიწყდებათ სიდიადე ამ ეკკლესიისა და მშვენიერ დღეობას არა ჰშლიან დღესაც მის გარშემო იმ დღეს, როცა საქართველოში კავთის წმიდა გიორგის დღესასწაულობენ. მაშასადამე, ეს ეკკლესია „კავთაა“, ერი-კი დიდი იცის ყოველ წელს, ბერძნებიც მიდიან...

როდესაც წალკაზედ დაჰმგზავრობ, თვალს ადვილად ვერ აარიდებ ჩრდილოეთისკენ ერჯევნის მთებიდგან გამომყურე განთქმულ ციხე-კლდეკარს. მკაფიოდ მოსჩანს კლდეში ჩაჭრილი უშველებელი კარები—ციხე და შიგ კოხტა ეკკლესია კარების აღმოსავლეთის კონწოხზედ. აქედგან მშვენივრად ათვალიერებ ქართლს; ფეხთით თეძმისა, ატენის და კავთის ხევის ხეობანი ტყით დაბურულნი შავად გიფენიათ, თვალ-წინ გეხატება დიდებული ისტორიული ამბები! აგერ ჯვრით ხელში თევდორე მღვდელი მიუძღვის ლეკ-ლეკზედ თურქთ, რომ ააცდინოს ერთაწმიდას და მეფეს არ წააყენოს თავს; აგერ სომხის მღვდელი საკაშვილი მიაფრენს ცხენს გორის ხიდზედ, რომ ჩაამტვრევინოს იგი და მტერი მტკვარს გაღმა არ გაუშვას!..

კლდე-კარი აღაშენა ლიპარიტ-ბაღუშანმა; ამის შემდეგ ჩვენს ისტორიაში პირველად კლდე-კარის სახელი შეკავშირებულია რატი ორბელიანის სახელთან, „რომელსაც ჰქონდა დიდი მამული ატენიდგან კლდეკარამდე—თრიალეთამდე“. გაზვიადებული რატი წინა აღუდგა მეფე ბაგრატ III-ს, შვილობილს მთელ სამცხე-ტაოსის ბატონისას დავით-კუროპალატისას. რატმა კუროპალატიც გადიბირა თავისკენ; მაგრამ მეფემ ლამე ინახულა მამობილი, შეურიგდა და მარტო დარჩენილი რატი საშინლად დაამარცხა კლდე-კართან. ამის შემდეგ ბევრჯელ იხსენიება კლდეკარი ჩვენს ისტორიაში: ამაზედ გადაიჩეხეს მოღალატე თორელის ერისთავი და სხვ.

ბოლო მოოხრება წალკისა ნათლად არა სჩანს, არსებობს ოქმი კათალიკოზ ქრისტეფორესი, რომლითაც ნაოხრები წალკისა ეძლევა თბილელ მიტროპოლიტს ელისეს იმ პირობით, რომ ნახევარი შემოსავლისა მცხეთის საპატრიარქოს უწილადოს ხოლმე. ეს თბილელი ელისე, გვარად საგინაშვილი, იხსენიება ოქმის ქაღალდებში 1628 წ. 1659 წლამდე. იგი იყო თურმე მშვენიერი კალიგრაფი და გადამწერი..

მღ. ზაქარია გულისაშვილი

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინის სახელობაზე განზრახულ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტის განსახილველად. მკითხველებს უთუოდ ახსოვებათ, რომ ტფილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელთ შარშან, პოეტის ა. ს. პუშკინის საიუბილეო დღესასწაულის დღეს, გარდაიხადეს რა პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად, დაადგინეს იმის სახელობაზე დაარსონ ტფილისში ასოთ-ამწყობთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება. მაშინვე ამორჩეულ იქმნა წესდების პროექტის შესამუშავებლად განსაკუთრებული კომისია, რომელმაც ეს საქმე თავისს წევრს ბ-ნ გ. მ. ლასხიშვილს მიანდო. ბ-მა ლასხიშვილმა შეადგინა პროექტი და 17 ივლისს კიდეც წარმოუდგინა განსახილველად კრებას. კრება დაწყებისათანავე ამ პროექტის დაწვრილებით განხილვას შეუდგა.

როგორც გამოირკვა, პროექტის შედგენის დროს ავტორს უხელმძღვანელნია პეტერბურგისა და სარატოვის ასოთ-ამწყობთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებათა წესდებებით, ბაქოს ნავთის მწარმოებელთა მუშების დამხმარებელ საზოგადოების წესდებით და სხვა ამ გვარ საზოგადოებათა წესდებით. წესდებით ახალს საზოგადოებას საგნად თვის წევრთა მდგომარეობის გაუმჯობესობა ექმნება; ამისთვის იგი წევრებს ფულად და სხვა რიგად აღმოუჩენს შემწეობას, გასცემს შეღავათით სესხს, აღმოუჩენს უსაქმოდ დარჩენილთ სამუშაოს, გაუწევს წევრთ საჭიროების დროს სამკურნალო დახმარებას, დაუნიშნავს პენსიას მოხუცებულთ, შეუძლო ქვრივთ, გაავრცელებს წევრთა შორის სასარგებლო ცოდნას, მაგალითად, გამოფენების გამართვით, საჯარო ლექციების კითხვით, სკოლებისა და სამკითხველოების დაარსებით და სხვ. საზოგადოების ქონება უნდა შესდგეს ერთხნობით და ყოველთვიურ საწევრო გარდასახადისაგან, რასაც მიემატება სხვა-და-სხვა შემოწირულებანი, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა, სტამბებისა და ლიტოგრაფიების პატრონთაგან ერთხანად შემოტანილი ფული, საზოგადოების მართველობის თაოსნობით გამართულ წარმოდგენებისა, კონცერტებისა, ბალებისა და საჯარო კითხვებისაგან შემოსული ფული და სხვანი...

საზოგადოება შესდგება ნამდვილ საპატიო და გულ-შემატკივარ წევრთაგან. ნამდვილ წევრებად იქმნებიან მხოლოდ ასოთ-ამწყობნი, სტამბების ხელოსნები, მეჩუქურთმეები, ასოების ჩამომსხმელნი, მემაშინენი, მბეჭდავნი, წიგნების მკაზმელნი. საპატიო წევრებად ისინი იქმნებიან ამორჩეულნი, ვინც საზოგადოებას შესწირავს არა ნაკლებ 300 მან., ხოლო გულ-შემატკივარ წევრებად—ვინც ერთ-ჟამიერ 100 მან. შეიტანს საზოგადოებაში ან-და ყოველ თვეობით გარდაიხდის არა ნაკლებ 25 მანეთისა.

საზოგადოების საქმეები უნდა განაგოს საზოგადო კრების მიერ ნამდვილ წევრთაგან ორის წლის ვადით არჩეულმა 4 წევრისაგან შემდგარმა გამგეობამ. გამგეობა თავის შორის ამოირჩევს თავმჯდომარეს და ხაზინადარს. საზოგადოებას წესდებით უფლება ექმნება შეიძინოს უძრავი ქონება, გამართოს საკუთარი სტამბები. კრებამ წესდების პროექტი მცირეოდენის შესწორებით მოიწონა და გარდასწყვიტა გადაათარგმნინოს ადგილობრივს ენებზედ, დაბეჭდოს რამდენიმე ასი ცალი და დაურიგონ ასოთ-ამწყობთა და სხვათ. ამის შემდეგ დაინიშნება ხელ-ახლად საზოგადო კრება, რომელზედაც მოიწვევენ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღების მსურველთ და საბოლოოდ განიხილავენ წესდების პროექტს და შემდეგ წარუდგენენ სათანადო მთავრობას დასამტკიცებლად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ასკანა (გურია). ამ უკანასკნელს წლებში გურიის მცხოვრებთ კარგად შეიგნეს, თუ რამდენად მაზარალებელია მათთვის, განსაკუთრებით ნავთიერად მკვდართაგან გადმოცემული ჩვეულება, „ტირილი" მიცვალებულის დასაფლავებაზედ და სცდილობენ როგორმე გადაჰგდონ და სამაგიეროდ, რაც ხარჯი „ტირილზედ" მოუვათ, ეს რამე საზოგადო სასარგებლო საქმეს მოახმარონ. აი ამ დღეებშიაც მოხდა ერთი ასეთი მაგალითი. 25 ივნისს ბ-ნმა სოლომონ ჭეიშვილმა და მისმა ძმებმა თავისი მოხუცებული დედა „უტირლად" დაასაფლავეს. რადგანაც გვაზრათის ეკკლესიას, სადაც მიცვალებული უნდა დაესაფლავებინათ, ახლად აშენებენ და არ იწირება შიგ, ამიტომ მოწვეულმა მღვდლებმა თავთავიანთს ეკკლესიაში სწირეს, მერე შეიკრიბნენ მიცვალებულის სახლში, საიდგანაც, პანაშვიდის გადახდის შემდეგ, მიცვალებული ნათესავებისა და მეზობლების თანდასწრებით ეკკლესიაში მიასვენეს. აქ წესის აგების დროს ბ-ნ პ. თა—ძემ წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რამდენად კარგია „ტირილის" შემცირება და რამდენად უმჯობესია ის ფული, რომელიც ტყუილ-უბრალოდ იხარჯება „ტირილზედ" სხვა რამე სკეთილო სასარგებლო საქმისათვის გადასდონ. წესის აგების შემდეგ თითონ ბ-ნმა სოლომონ ჭეიშვილმა მოკლე სიტყვით მიჰმართა საზოგადოებას და ის აზრი გამოსთქვა, რომ მეც შემეძლო მკვდრის ჩვეულებით დამესაფლავებინა დედაჩემი, მაგრამ, როგორც უსარგებლო ჩვეულება, „ტირილი" უარ-ვყავ და იმის მაგიერად, რაც იქ უნდა დამეხარჯა, კარჩიე სხვა სკეთილო საქმისთვის მომეხმარებინა. შემდეგ ამისა, გვაზრათის ეკკლესიას, რომელიც ახლა შენდება, შესწირა 100 მ. ფულად და მაშინვე ჩააბარა ეკკლესიის მზრუნველს ბ-ნ ილიაზე შეკარდნაძეს. მეორე 100 მ. შესწირა ასკანის მომავალს ორ-კლასიანს დედათა სკოლას და ფული ასკანის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის გამგეს სვიმონ შარაშიძეს გადასცა ბანკში შესანახად და 25 მ. შესწირა მთის შარის ეკკლესიას, რომელიც ჩააბარა მღ. ექვთიმე თალაკვაძეს. დაკრძალვის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ ეკკლესიის გალავანშივე ისაუზმა და თავთავიანთს სახლში წავიდნენ. იმედია, ამ კეთილს მაგალითს სხვაც შემდეგისადაკვარად მიჰბაძავს, რითაც დიდს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებასაცა და მიცვალებულსაც შვედავს ჭუოფს.

დამსწრე

—

სოფ. ზემო-თეკლათი (სენაკის მაზრა). ამ დღეებში აქ ერთი არა ჩვეულებრივი ამბავი მოხდა. აქაურს დედათა მონასტერს, სამი თუ ოთხი თავიდგან ფეხამდე შეიარაღებული ყაჩაღი ეწვია. ყაჩაღებს შეუთვლიათ მონასტრის წინამძღვრისათვის: „ჩვენ გაჭირვებულები ვართ, ფულები შემოგვეკლია და გთხოვთ სამი თუმანი სახარჯო ფული მოგვცეთო". წინამძღვარი და მოლოზნები ჯერ უარზედ დამდგარან, ჩვენ ფულები არა გვაქვსო, მაგრამ ბოლოს შეშინებოდათ, მოეკრიბნათ თავიანთს შორის სამი თუმანი და გადაეცათ ყაჩაღებისათვის. ყაჩაღებს უთქვამთ: ეს ამბავი ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აცნობოთ, დაფარული გქონდეთო და სხ. ყოველივე ეს დღისით მოხდა. ამ ამბავმა აქაური მცხოვრებლები დიდად დააღონა და დიდს ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო. კაი, თუ ჩვენც ასეთი დღე დაგვაყენონ თავზედ ხელ-აღებულმა ყაჩაღებმაო. ამბობენ, მონასტრისა და იმის ახლო მახლო მთებში იმალებიან ეს ყაჩაღებიო.

აქეთ ჯერ ჯეროვანი ვერაფერი პირი უჩანს ჭირნახულს (სიმინდს). ამისი მიზეზი წრევანდელი აწრდლებული ამინდება გახლავთ. სიმინდების გამარგვლა ჯერ გაუთავებელია... სიმინდებს ბალახ-ბულახი ისე მორია, რომ კაცი ერთს მეორეში ვერ არჩევს. დღიური თოხის მუშა კაცი მანეთად ფასობს.

აბრეშუმის მოსავალი წელს მთელს საზოგადოებაში ავარიანი იყო. ვისაც კარგი აბრეშუმის თესლი შეჰხვდა, იმას არ წაუგია. ყველანი კმაყოფილნი და მადლიერნი არიან წრევანდელის აბრეშუმის მოსავლისა. ფუთი უმი პარკი, ახალ-სენაკში მიტანილი, 14 მანეთად იყიდებოდა, ხოლო კარგის ღარსები საში-კი მეტსაც აძლევდნენ,

ივნისის თვის უკანასკნელ რიცხვების მოულოდნელმა აღმოსავლეთის ღონიერმა ქარმა ყოველ-გვარი ხეხილები ძალიან დააზარალა და ნახევარზედ მეტი ძირს ჩამოყარა. ასეთივე ცუდი დღე დააყენა ვაზსაც... სხვა ფერივ აქეთ მშვიდობაა. ცეცხ-ცხელების სეზონი ჯერ არ დაწყებულა...

ტელეფონი.

## უცხოეთი

**იტალია.** გუშინდელმა დეპეშამ სამწუხარო ამბავი მოიტანა იტალიიდგან; მოჰკლეს იტალიის მეფე ჰუმბერტო პირველი. დეპეშაში არ არის ნათქვამი რა კაცია მკვლელი, მაგრამ აშკარაა, რომ იგი ანარქისტი იქმნება. იტალიის მეფე ჰუმბერტო I დაიბადა 1844 წელს. იგი შვილია გაერთიანებულ იტალიის პირველ მეფის ვიქტორ ემმანუილ მეორისა. 1868 წ. ჰუმბერტმა შეირთო მარია-ტერეზია (დაიბადა 1851 წელს), თავისს ბიძას გენუის ჰერცოგის ფერდინანდის ქალი. ტახტზედ ჰუმბერტო 1878 წელს ავიდა. აწინდელი მემკვიდრე და მომავალი მეფე იტალიისა განსვენებულ ჰუმბერტოს შვილი ვიქტორ-ემანუილი დაიბადა 1869 წელს.

**ჩინეთი.** ამ ბოლოს დროს ჩინეთიდგან მოსული დეპეშები ერთხმად იუწყებიან, რომ ელჩები ცოცხლები არიან. ჩიფუში იმასაც ამბობენ, რომ ელჩები უკვე გამოვიდნენ პეკინიდგან და ამ დღეებში ტიან-ძინს ჩავლენო. ჩინეთის მთავრობამ ყოველი საშვალება იხმარა თურმე ელჩების დასაცველად. თან ელჩებს მთელი ჯარი ახლავს.

— როგორც რუსეთის მთავარ-შტაბის მიერ მიღებულ ცნობებიდგან სჩანს, პეკინსა და იმის გარშემო ამ ჟამად ჩინეთის შემდეგი ჯარი სდგას: გენერალ იანშიკაისა—9000 კარგად შეიარაღებული და ევროპიულად გაწვრთნილი ჯარის-კაცი; ეს ჯარი ინგლისელ ინსტრუქტორების მიერ არის გაწვრთნილი; გენერალ სუნსისა—16 ათასი აგრეთვე ევროპიულად შეიარაღებული ჯარის-კაცი, გაწვრთნილი გერმანელ ინსტრუქტორების მიერ; ამ ჯარს 22 მაქსიმისა და კრუპის ზარბაზანი აქვს. სულ კი პეკინსა და იმის გარშემო 150,000 ჯარის-კაცია, აქედგან ევროპიულად გაწვრთნილი და შეიარაღებული მხოლოდ 30,000 კაცია.

— შანხაის გარშემო მოძრაობა თან და თან იზრდება. შანხაის ჩინური გაზეთები, რომლებიც აქამდის პატივის ცემით ექცეოდნენ ევროპიელებს, დღეს აღარაფრად აგდებდნენ უცხო-ქვეყნელთ და მათ წინააღმდეგ ბევრს რასმეს სწერენ. ბევრმა უცხო-ქვეყნელმა უკვე მოიხვა თავი ნანგინს და ჩიფუში გადასახლება ამჯობინა. შანხაის ჩინეთის უმთავრესი სავაჭრო ნავთსადგურია, მაგრამ ეხლა ამ მოძრაობის გამო ვაჭრობა თითქმის სულ შეჩერებულია; ეს რამდენიმე დღეა საქონელი აღარ შეუტანიათ იქ.

— ზოგიერთ გაზეთებს ატყობინებენ ჩინეთიდგან, რომ ლიხუნგ-ჩანგი ტუანის პირველი მომხრე და მოკავშირეაო. „Daily Mail" სწერს, მაგალითად, შანხაიდგან, რომ ჩინეთის ყველა დიდმა მოხელეებმა, მათ შორის ლიხუნგ-ჩანგმა და ტაოტაი შენგმა, ჩინეთის რკინის გზების დირექტორმა, ძალიან კარგად იციან, რა ხდება და რა არა პეკინში, მაგრამ არ ამხელენ, რადგან პირი აქვთ შეკრულიო. მდივნებს, მწერლებს და საზოგადოდ წვრილ მოხელეებს ფიცით პირობა ჩამოართვეს, არავის არაფერი უთხრან და არ გაამჟღავნონ საიდუმლოება. ჩინეთში მყოფი ევროპიელნი ჰფიქრობენ, რომ სამხრეთ ჩინეთის გუბერნატორები ხმას მხოლოდ მაშინ ამოიღებენ და გაიყვანენ ჯარს ევროპიელთა წინააღმდეგ, როდესაც სახელმწიფონი ახალ ჯარს გადასხამენო. დღეს თუ ჩინეთის ერთი ნაწილი ეწინააღმდეგება ევროპას, მაშინ მთელი ეს უზარმაზარი სახელმწიფო ფეხზედ ადგება და გაუმკლავდება მტერსაო.

— „რეიტერის სააგენტოს" ტიანძინიდგან ატყობინებენ, რომ სახელმწიფოთა შეერთებული ჯარი პეკინისაკენ გზას ივლისის ბოლო რიცხვებში გაუდგება. ამ ჟამად ჯარი მზადებაშია თურმე წასასვლელად.

— როგორც ვსწერით, ევროპაში ერთი ლაპარაკი ასტეხეს იმის გამო, რომ ჩინელებს საომარ იარაღს თვით ევროპიელნი აძლევენო. ეხლა „Nat. Zeitung"-ი სწერს, რომ ჩინელებს მართალია ევროპიდგანაც მოსდიოდათ თოფები და ზარბაზნები, მაგრამ უფრო ბევრ თოფ-ზარბაზანს თვით ამზადებდნენ. ამ გაზეთის სიტყვით, ფუჩაუსა, შანხაისა, ნანკინსა და ტიან-ძინში უზარმაზარი ქარხნები ყოფილა, სადაც ჩინელი ტეხნიკოსები და მუშები ახალის საუკეთესო სისტემის, უკანასკნელ თოფ-ზარბაზანს ამზადებენ თურმე. ამ ქარხნებში არც ერთი ევროპიელი არა ყოფილა.

— როგორც „Daily News"-ის მიერ ამერიკიდგან მიღებულ წერილიდგან სჩანს, ამერიკა მაინც რიგად არ თანაუგრძნობს თურმე ჩინეთთან ომს. მთავრობა შეტევისა ამბობს, ჩვენ ჩინეთს კი არ ვებრძოდებით, იქაურს მთავრობასა ვშველით და ვეხმარებით მეამბოხეთა დაწყნარებაშიო. პრეზიდენტ მაკ-კინლეის მახლობელ მეგობრებს უთქვამთ, თუ რუსეთმა ჩინეთს ოფიციალურად ომი გამოუცხადა და დიდძალი ჯარი გაგზავნა იქ, მაშინ ამერიკა უეჭველად წაიყვანს თავის ჯარს ჩინეთიდგანაო. ჩვენ ყოველთვის მეგობრული განწყობილება გვქონდა ჩინეთთან და ეხლა სრულებით არ გვინდა დავარღვიოთ ეს განწყობილებაო.

— გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი თარგმანი ჩინეთის იმპერატორის ბრძანებისა, რომლითაც მას მეფის მოადგილეთა და გენერალ-გუბერნატორებისათვის მიუმართავს: „ჩინეთსა და უცხო ქვეყნელ სახელმწიფოთა შორის შეტაკება გამოიწვია ჩვენის ხალხის მიერ უცხოელთა დევნამ და ტაკვს აღებამ. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ კარგი და მეგობრული დამოკიდებულება გვქონოდა სახელმწიფოებში, ამიტომ დღევანდელი შეტაკება მეტად სამწუხარო მოვლენად მიგვაჩნია. ჩვენ არა ერთხელ გვიბრძანებია პროვინციის მოხელეებისათვის ეზრუნათ უცხო-ქვეყნელთა სიცოცხლესა და ქონების დაცვისათვის, არავისთვის არ მიეცათ ნება უცხო-ქვეყნელთა დაჩაგვრისა ან მათის მოკვლისა. რადგანაც ჩვენი ხალხი ეხლაც მტრულის თვალით უყურებს უცხო-ქვეყნელთა და მისიონერებს, ამიტომ ხელ-ახლა ვუბრძანებთ მეფის მოადგილეთ, სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორებსა და სხვა მოხელეებს დაიცვან უცხო-ქვეყნელნი. წარსულ თვეში მალიან გაგვაკვირვა გერმანიის ელჩისა და იაპონიის საელჩოს მდივნის მოკვლამ. უკვე გავეცით ბრძანება, დაუყოვნებლივ შეიპყრონ დამნაშავენი და სიკვდილით დასაჯონ. ამას გარდა პეკინის პრეფექტსა და ჩილის გენერალ-გუბერნატორს ვუბრძანეთ დაუყოვნებლივ გამოძიებას შეუდგნენ და გამოიკვლიონ, მეამბოხეთა ხელისაგან რამდენი მისიონერი და უცხო-ქვეყნელი დაიღუპა და აგრეთვე რა ზარალი მოუვიდათ უცხო ქვეყნელთა. ვუბრძანებთ აგრეთვე სამოქალაქო და სამხედრო გუბერნატორებს დაიცვან წესიერება, დასაჯონ მეამბოხენი და მშვიდობიანობა აღადგინონ.

— ლიხუნგ-ჩანგს, ამ „ჩინელი ბისმარკს", უფრო-ქცევს ევროპიელნი თან და თან ეჭვის თვალით უყურებენ. ამბობენ, რომ ლიხუნგ-ჩანგი ატყუებს ევროპიელებს, თითონ მეამბოხეთა მომხრეა და მხოლოდ იმასა სცდილობს და მეცადინეობს, რომ ევროპიელებმა ჯარი არ გადასხან ჩინეთში და ქალაქები არ აიღონ. ამიტომ გაზეთები ურჩევენ მთავრობას ლიხუნგ-ჩანგის მოქმედებას თვალ-ყური ადევნონ და იმის სიტყვას ნუ დაუჯერებენ. ზოგი იმასაც გაიძახის, შეიპყრონ ლიხუნგ-ჩანგი.

**სერბია.** დეპეშიდგან უკვე უწყიან მკითხველებმა, რომ ამ რამდენისამე დღის წინად სერბიის ახალგაზრდა მეფე ალექსანდრე ქ-ნ დრაგა მაშინზედ დაინიშნა. ამ ამბავმა ერთი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია როგორც თვით სერბიაში, ისე საზღვარ გარეთ. მეფის დანიშნული დრაგა მაშინი ინჟინერის მაშინის ქვრივია. ამ ჟამად დრაგა 39 წლისაა, ხოლო მეფე 24 წლისა. მეფე ალექსანდრემ პირველად დრაგა თავის დედასთან გაიცნო. დანიშნული მეტად ლამაზი, ჭკვიანი და „პოლიტიკოსი" ქალი ყოფილა თურმე. მამა მეფე ალექსანდრესი, მილანი დიდი წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა და რომ ვერაფერი გააწყო, სერ-

ბაის ჯვარის მთავარ სარდლის თანამდებობიდგან გადააყენა. წინააღმდეგნი ყოფილან აგრეთვე მიტროპოლიტი ინოკენტი, რომელიც დანიშნული ყოფილა და თურმე ალექსანდრეს, მაშინ ნუ შეირთავო, და მთელი სამინისტრო, რომელიც ამის გამო სამსახურიდგან გადამდგარა. ახალგაზდა მეფეს გადაჭრით უთქვამს, გინდაც რომ მთელი სახელმწიფო აღსდგეს ჩემს წინააღმდეგ, მაინც ჩემსას არ დავიშლი და მაშინც შევირთავო; უკეთეს შემთხვევაში, ჩემ-ფობიდგან გადავდგები და ჩემ მიერ არჩეულ ქალს-კი თავს არ დავანებებო. იმდენი წინააღმდეგი აღმოუჩნდა მეფეს, რომ ვგონაში ჰფიქრობენ, შეიძლება ამ ზოხვებაც-კი მოხდეს სერბიაშიო. როგორც დეპეშამ გვაცნობა, ახალი სამინისტრო უკვე შესდგა ალექსეი ოოვანოვიჩის მინისტრ-პრეზიდენტობით. ახალი მინისტრ-პრეზიდენტი არც ერთს დასს არ ეკუთვნის.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად პარიჟში ერთი მოხერხებული ჯიბგირი დაუპატიმრებიათ. ეს ჯიბგირი უსინათლოს „როლს“ თამაშობდა და მუდამ თორმეტის წლის გოგოსთან დადიოდა თურმე. ამას წინად მადელენის მოედან ზედ საიდუმლო პოლიციის ერთ ინსპექტორს თვალი მოუკრავს ამ „უსინათლოსათვის“ და ეჭვი შეჰპარვია. ინსპექტორი რესტორანის ბალკონზედ ასულა და იქიდგან დაუწყვია ყურება „უსინათლოსათვის“. იქიდგან დაუნახნია, „უსინათლო“ როგორ მოხერხებულად იქცეოდა. გოგოს საცა ბევრი ხალხი იყო, იქ შეჰყავდა უსინათლო და უცბად თავს ანებებდა თურმე. „უსინათლო“ ხელებსა ჰშლიდა, ვითომ გოგოს დავეძებო, და ამ დროს ხან ერთს ჩაუყობდა ჯიბეში ხელს, ხან მეორეს. ინსპექტორს მაშინვე ორივენი პოლიციაში წაუყვანია, გაუჩხრეკიათ იქ და უნახავთ: გოგოს ჯიბეში 47 ცარიელი ქისა, ხოლო „უსინათლოს“ ჯიბეში რამდენიმე ასი ფრანკი. გამოირკვა, რომ ეს „უსინათლო“ ცნობილი ამერიკელი ჯიბგირი შაფერსონი ყოფილა, რომლის შესახებაც ამას წინად ნიუ-იორკის პოლიცია ატყობინებდა თურმე პარიჟის პოლიციას, რომ ეს ჯიბგირი მანდ, გამოფენაზედ, მოდის „სავასტროლოდაო“.

* * *

დღეს ჩინეთში ლიხუნგჩანგი უპირველესი მდიდარი ყოფილა. როგორც ამბობენ, ამ „ჩინეთის ბისმარკს“ სამ მილიარდ ფრანკის შეძლება აქვს თურმე. უმთავრესად ეს დიდძალი ქონება თავის ბანკის წყალობით შეუძენია. ლიხუნგჩანგს გაუმართავს ბანკი, საიდგანაც სესხი ეძლეოდათ უძრავისა და მოძრავის ქონების გირაოზედ. ამასთან ლიხუნგჩანგს მთავრობისათვის პირობა ჩამოურთმევია, რომ სხვას არავის მისცეს ასეთის ბანკის გამართვის ნება. ამას გარდა ამბობენ, ლიხუნგჩანგმა დიდი ფული სახელმწიფოებისაგანაც აიღოო. მას შემდეგ, რაც ჩინეთის გამო სახელმწიფოებს შორის მეტოქეობა გაიმართა, „ჩინეთის ბისმარკს“ ხან ერთი სახელმწიფო მიჰმართავდა ხოლმე, ხან მეორე; მოხერხებული „ბისმარკიც“ მუქთად არავის არაფერს არ უკეთებდა თურმე.

* * *

ევროპიელები ძალიან უსაყვედურებენ ჩინელებს, ველურები არიან, ქრისტიანებს არ ინდობენ და უმოწყალოდ ჰხოცავენო. ასე ამბობენ ევროპიელნი და ის-კი ავიწყდებათ, რომ თითონვე მიიყვანეს ამ ზომამდე ჩინელები, თვითვე უმიზეზოდ სასაცილოდ იგდებდნენ ჩინელებს და ვინ იცის როგორ არ ექცეოდნენ ამ ხალხს თავიანთსავე სამშობლოში, თავიანთვე მიწა-ადგილში. გაზეთ „West. Anzeiger“-ში ხშირად იბეჭდება ხოლმე ჩინეთში მყოფ ჯარისკაცების წერილები. აი, სხვათა შორის, გერმანიის, ამ დიდად კულტურულ ერის, ერთი ჯარის კაცი რას იწერებოდა კიაო-ჩაუდგან ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ჩინელები და ევროპიელნი კარგ განწყობილებაში იყვნენ: „ერთ მშვენიერ დილას ბანაკიდგან ავიშალენით და, სურსათით დატვირთულნი, შორს გზას გავუდექით. გავიარეთ ორი სოფელი, ქ. ძიმში შევედით და იქ ჩინელთა ტაძარში დავბანაკდით. შინაურულად მოვეწყეთ ამ ტაძარში: ტანისამოსი და ლოგინი ზედ კერპებზედ ჩამოვკიდეთ; ჩინელები გაკვირვებულნი გვიყურებდნენ და მოელოდნენ, ჩვენი ღმერთები გაანადგურებენ ევროპიელებს ასეთის შეურაცხყოფისთვისაო. მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ, ჩვენ იმ ღამეს მშვენივრად გამოვიძინეთ. ძიმო მანჯურიის სატახტო ქალაქია. იქ ჩინელებს ხუთი რაზმი ქვეითა ჯარი ჰყავთ“. თავის მხრივ გაზეთი უმატებს: „ასეთ შემთხვევით წერილებიდგან ვიგებთ, როგორ ავრცელებდნენ და ავრცელებენ ევროპიელნი ჩინეთში ცივილიზაციასა და ქრისტიანობას. ეხლა აღარც ის გვიკვირს, ჩინელებმა ჩვენ, ევროპიელნი, რად მოგვნათლეს „ბარბაროსებადა“ და „ქაჯებად“.

* * *

როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, ამ ზაფხულს ნიუ-იორკში საოცარი სიცხეებია თურმე; ამასთან საოცრად გახშირებულა და თითქმის სენად გადაქცეულა თავის მკვლელობა. ამბობენ, რომ ეს სენი არა ჩვეულებრივმა სიცხეებმა გამოიწვიაო. ნიუ-იორკელ გაზეთებში ყოველდღე მთელი სვეტებია სავსე თავის მკვლელთა ამბებით. სხვათა შორის ერთს მთავრობის მოხელეს საყურადღებო ცნობები შეუკრებია ამის შესახებ. ეს მოხელე ამტკიცებს, რომ უმრავლესობა სიცხეში იკლავს თავსაო; სიცხე კაცს სჩაგრავს, ენერგიას უსუსტებს და სიცოცხლეს აძულებსო; წვიმიანი ამინდი-კი კაცს ნერვებს უმშვიდებს და ამხნევებსო. უმრავლესობა რევოლვერებით იკლავს თავს. პირველი ადგილი თავის მკვლელთა სიმრავლით ნიუ-იორკში ნემცებს უჭირავთ, შემდეგ ინგლისელებს, რუსებს და ავსტრიელებს. თვით ამერიკელნი იშვიათად ისპობენ თურმე სიცოცხლეს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 ივლისი

**რომი.** მეფის მოკვლის დაწვრილებით ამბავი არ უწყიან. მკვლელის სახელი საშიშ ანარქისტთა სიაში არ არის მოქცეული. მემკვიდრე პრინცი, დღეს მეფე ვიქტორ ემმანუილ III, აღმოსავლეთში მოგზაურობს მეუღლითურთ. ამბობენ, თუ მეფემ დააყოვნა და 48 საათზედ მეტს დაიგვიანა, კონსტიტუციის ძალით საჭირო იქმნება სარეგენტოს დანიშვნაო. პარლამენტი დაუყოვნებლივ იქმნება მოწვეული ფიცის მისაღებად. ჰუმბერტოს გვამს რომში წაასვენებენ და პანტეონში დაჰკრძალავენ.

**პარიჟი.** ლუბემ მეფეს ვიქტორ ემმანუილს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა.

**ბერლინი.** ტიან-ძინში მყოფმა გერმანიის ელჩმა პეკინის საელჩოსაგან 9 ივლისს შემდეგი დეპეშა მიიღო: „გმადლობთ 6 ივლისს გამოგზავნილ ცნობისათვის. კორდესი კარგად არის. საელჩოს დანარჩენი წევრებიც ჯანმრთელად არიან. საელჩოთა შენობანი ძალიან არის დაზიანებული ყუმბარებისაგან. 3 ივლისიდგან ჩინელები აღარ გვაწუხებენ. ყოვლად საჭიროა რაც შეიძლება ჩქარა მოსაშველებელი ჯარი იქმნას გამოგზავნილი. როგორც ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ, კეტტელერის გვამი ჩინეთის მთავრობას აღმოუჩენია“.

**კაპშტადტი.** პრინსლო და 5000 ბური ფურიესბურგში დაემორჩილნენ ინგლისელებს.

**ბერლინი.** ჩიფუში მყოფი ელჩი 14 ივლისს დეპეშით იუწყება, რომ შანდუნის გუბერნატორმა მაცნობა, გავუგზავნე თქვენი დეპეშა გერმანიის საელჩოს 9 ივლისსაო. შემდეგ გუბერნატორი დეპეშით ატყობინებს აქაურ ელჩებს, რომ, იმპერატორის 11 ივლისის ბრძანების თანახმად, გერმანიის წარმომადგენელის გარდა სხვა ელჩები უვნებელნი არიან, მათ სურსათი გაეგზავნათო. ელჩების მიერ მიღებული გუბერნატორის მესამე დეპეშა იუწყება პეკინში ელჩებთან გაგზავნილ დეპეშების გაგზავნის ამბავს, იმ დეპეშებისას, რომლებიც ადმირალებმა ტაკუდგან გაჰგზავნეს. ჩინეთის წყაროებით, ინგლისის საელჩოს 25 ივლისს თავს დაესხა ტუნფუნძიანის ჯარი. ეს ჯარი განდევნილ იქმნა. ჩინეთის ჯარი ებრძვის ტუნფუნძიანის ჯარს. ევროპიელნი იმპერატორის სასახლის მახლობლად მყოფ პეიტანის ტაძარს შეეხიზნენ; თვით სასახლე მეამბოხეთ გადასწვეს. პეკინის ძველ ნაწილს, თითქმის განადგურებულს, გარს „დიდის მუშტის“ მომხრენი და საიმპერატორო ჯარი არტყია.

**მონცა.** მკვლელმა სთქვა, რომ ბოეტანო ბრესსი მქვიანო და დავიბადე 1869 წელს პრატოში; ხელობით ფეიქარი ვარო. ბრესსიმ დაუმატა, რომ ანარქისტი ვარ, ამერიკიდგან მოვედი და მკვლელობა ჩავიდინე იმიტომ, რომ მძულს მონარქიული დაწესებულებანიო. 27 ივლისს ბრესსი მილანიდგან მონცაში მოსულა.

**კონსტანტინეპოლი.** როგორც შანჰაიდგან იუწყებიან, ლიხუნჩანგს 11 ივლისის ბრძანება მიუღია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთის მთავრობას აზრადა აქვს ელჩები არ გაანთავისუფლოს და ამანათად დაიჭიროსო. ლიხუნჩანგს ბრძანება მიუღია, საჩქაროდ პეკინში მივიდეს, რომ საიმპერატორო ჯარის უფროსობა მიიღოს უცხო ქვეყნელთა ჯარის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

**ჩიფუ.** 14 ივლისი, ტიან-ძინში მყოფმა იაპონიის ელჩმა 2 ივლისს გაჰგზავნა პეკინში კაცი, რომელიც 6 ივლისს პეკინიდგან უკან დაბრუნდა და თან მოიტანა იდუმალი დეპეშა, იაპონიის მთავრობასთან გამოგზავნილი. ამ დეპეშაში ნათქვამია: „ჩვენ მაგრად ვიცავთ თავს ჩინელებისაგან. ეხლა ჩინელები აღარ გვაწუხებენ. ჩვენ აზრადა გვაქვს ამ თვის ბოლომდე გავმაგრდეთ, თუმცა ეს საქმე მეტად ძნელია.

18 ივლისი

**ტიან ძინი.** პეიტანის ჩინეთის ბანაკს რუსეთის ჯარმა ყუმბარები დაუშინა. რუსებს არავითარი ზარალი არ მოსვლიათ.

**ჩიფუ.** შანდუნის გუბერნატორმა 8 ივლის გამოსცა მოწოდება, რომელშიაც გამოქვეყნებულია იმპერატორის 18 ივნისის ბრძანება შემდეგის შინაარსისა: „ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ინოჩუანის („დიდის მუშტის“) მილიცია დასძლევს მტერს და ხელს შეგვიწყობს კარზედ მომდგარ განსაცდელის თავიდგან აცდენის დროს, მაგრამ ეს იმედი არ გაგვიმართლდა: ამ სახელის ბრბონი ჰძარცვავდნენ და ჰხოცავდნენ ხალხს, ამიტომ ცრუ იხოჩუანები უნდა განსხვავებულ იქმნენ ნამდვილიდგან და პირველნი სასტიკად უნდა დაისაჯნენ“. გუბერნატორი ამბობს ამის გამო, რომ ტიანძინსა და პეკინში დიდი განსაცდელია და იხოჩუანნი უნდა დაეშურნენ ჩრდილოეთისაკენ წასასვლელადაო.

## ქართულის ენის საუნჯის მასალად

(შემდეგი *)

ც

ცასწავალა—ტოროლა. ფრ. ფშავლები იტყვიან, ტოროლა რო მაღლა-მაღლა წავა გალობით, ის ამბობსო: როცა ადის: „ცას წავალ! ცას წავალ! ცას წავალ! მერე ისევ დაეშვებაო: „ვტყუი! ვტყუი, ვტყუიო!.“ ფშ.

ცენდარი—მოჭრილი ხის გამხმარი ძირი. ფშ.

ცეროდინა—ცერისტოლა კაცი. ფშ.

ცერევატი—ცერევატი გახდა, ისე შეკრთა, რომ გონება და აზროვნება სრულიად დაჰკარგა. ქართ.

ცინტა—სურდო. ფშ.

ცინტავება—ცხვირის ცემინება. აცინტავებს. ფშ.

ც ბალი—ცუდაკაცი, მარტო თავის ჩაცმადახურვაზედ მზრუნველი.

„ქუდი მრუდია ციბალთი,
შუშპარი მშვენიერია,
თურამ აბადავ, ტანთ აკრავ,
შინ სახლი ცარიელია“. ფშ.

ცისპირი—ტატანი, горизонтъ. ფშ.

ციცუნა—დგნალის ყვავილი. ფშ.

ცლინგური—ხელიდგან გასხლტომა. ფშ.

ცოლეურები—ცოლის ნათესავები. ფშ.

ცუგრუმელა—საალერსო სიტყვა ბავშვთათვის: პატარა პირის მქონებელი, ლამაზი. ფშ.

ცულ-ქარჩი—მიწის სათხრელი იარაღი, ცალი პირი ცულის მსგავსი აქვს და ცალი—წერაქვისა. ფშ.

ცქვიტი—მარდი. ფშ.

ცრევა—დრო ცხვრის მოწველისა. ფშ.

ცხვირის სატეხელა—მც. ქართ.

ცხემლა—საქსოვი იარაღი, რაზედაც ძაფს გააბამენ და ქსელში გააქვთ და გამოაქვთ. ფშ.

ძ

ძაგრვა—გაჭიმვა. ფშ.

ძამულა—საალერსო სიტყვა „ძმა“. ფშ.

ძანძახი—დიდი ტალახი, ჭყაპი. ქართ.

ძვალ-რბილი—ხორცი და ძვალი ერთად. ფშ.

ძიძიბი—პატარა მუწუკი. ქართ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 153.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებ თავ. ივანე ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე გიორგის ძე მაჭუტაძეთ, რომლებმაც შუხუთის წ.-და მარინის სამრევლო სკოლას შემოსწირეს, პირველმა ხუთი, ხოლო მეორემ ერთი მანეთი.

შუხუთის წმიდის მარინის სამრევლო სკოლის მზრუნველი სილოვან ნიკოლაიშვილი.

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ იმათ, რომელთაც ცხრა მთას იქიდამაც მოახერხეს და თავისი წვლილი მოგვაწოდეს აკეთის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ. აი სია შემომწირველთა: თ. ილია იპპოლიტეს ძე მიქელაძემ 1 მანეთი, კონსტანტინე ალექსანდრეს ძემ გოშუამ 1 მან, გრიგოლ თავდგირიძემ 2 მან., ერმილე იესეს ძე ჭილაძემ 1 მან., იაგორ კონსტანტინეს ძე ჩხეიძემ 1 მან., იონა ოტიას ძე ბეჩუაიმ 1 მან., ივანე კონტრიძემ 50 კაპ., ივანე დონდუამ 1 მ., სიმონ ხოდჟაბაგიროვმა 1 მ., დათა იოვიშვილმა 3 მ., გიორგი ნიკოლოზის ძე კნიშნიანიძემ 1 მ. 50 კ., ვასილ ალექსანდრეს ძე ალასანიძემ 1 მან., ფილიპპე ცინკაძემ 1 მ., ნიკოლოზ ქართველიშვილმა 50 კ., მეგრელმა 50 კ., რაჭველმა 50 კ., სიო სირაძემ 50 კ. და ალექსანდრე საკატელოვმა 50 კაპ.

აკეთის სამკითხველოს დროებითი გამგე მიხეილ ჯიბლაძე.

—

გულითადს მადლობას ვსწირავ ბ-ნთ ნესტორ სეფესძე კეჭაღმაძესა და იოსებ ურუშაძეს, რომლებმაც მიქელ-გაბრიელის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ოთხ-ოთხი მანეთის წიგნები შემოსწირეს.

სამკითხველოს გამგე მ. მეგრელიძე

—

მადლობას ვუძღვნი აზნ. ილია ქარიმისძეს ქარუმიძეს, რომელმაც მხურვალეთის წმ. ქ. შ. მარინის ეკკლესიას 1 მანეთად ღირებული კარგა მოზრდილი სპილენძის ემბაზი შემოსწირა. იმედია ამ მაგალითს სხვა ადგილობრივი მემამულენიც მიჰბაძვენ და აღნიშნულს ღარიბს ეკკლესიას შეძლების და გვარს შემწეობას აღმოუჩენენ.

მხურვალეთის მღ. ბაგრ. ბარნაბიშვილი


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 24 ივლისს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაიცემა ალექსანდრეს ბაღის კედლის შეკეთების საქმე. საჭიროა შეკეთება ქვიტკირის კედლისა და საძირკვლისა, აგრეთვე შეკეთება რკინის მოაჯირებისა და იმის შეღებვა; სამუშაო სულ 3000 მანეთისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—15)

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყოველნაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე (30—უ.—11)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე